ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ ზაალ მამალაძეს
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის
მინდია ჟღერიას

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ბ" ქვეპუნქტის და 106[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების შესაბამისად, წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექციის" დაფუძნების თაობაზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ".

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" შესაბამისად, მუნიციპალიტეტს უფლება აქვს, მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო. მუნიციპალიტეტის საკრებულო თანხმობას გასცემს ამ პუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების მიზანშეწონილობაზე, რაც არ გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სარეგისტრაციო განაცხადის და მასზე თანდართული დოკუმენტების მოწონებას.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექცია" იქნება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამართალმემკვიდრე - მშენებლობაზე საჯარო ზედამხედველობის ორგანო, რომელიც განახორციელებს წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით მის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სფეროებში დადგენილი წესების დაცვაზე ზედამხედველობას, დარღვევათა გამოვლენას და კანონმდებლობის შესაბამისად მათზე რეაგირებას, დარღვევათა თავიდან ასაცილებლად პრევენციულ ღონისძიებათა დაგეგმვას და განხორციელებას. ინსპექცია, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით", ,,ნარჩენების მართვის კოდექსით" და ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსით" მუნიციპალიტეტის კომპეტენციას მიკუთვნებულ სფეროებში ჩადენილ სამართალდარღვევებზე სათანადო რეაგირებას და სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმის წარმოებას „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით" დადგენილი წესით და ფარგლებში.

„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" 118-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექცია" საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის შემდეგ განისაზღვრება მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის განმახორციელებელ ადმინისტრაციული ორგანოდ.

ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექციის დაფუძნება მიზნად ისახავს მოქნილი და შედეგზე ორიენტირებული მართვის მოდელის შექმნას, მუნიციპალური ზედამხედველობის ფუნქციის ინსტიტუციურ გაძლიერებას, სამართალდარღვევებზე ეფექტური რეაგირების მექანიზმების შექმნას და განსაკუთრებით ბახმაროს რეკრეაციულ ზონაში სამშენებლო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე ეფექტიანი კონტროლის უზრუნველყოფას.

ა(ა)იპ ,,ჩოხატაურის მუნიციპალური ინსპექცია" მ/წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდება 200 000 ლარის ფარგლებში.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელია მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი თეა უჯმაჯურიძე.

მუნიციპალიტეტის მერი: მინდია ჟღერია